



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 95

„02“ ოქტომბერი 2015 წელი

გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე

თანხმობის მიცემის შესახებ

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალსაქარი სისტემების დაზიანების თავიდან ასაცილებლად ჭაბურღილების ელექტრომომარაგების გარე ქსელების მონტაჟი განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3,299 ლარს.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე  პაატა გიორგობიანი

